**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**15 ივნისი, 2018 წელი** **ქ. თბილისი**

**მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

**დისციპლინური საქმე №80/17**

-- -- 2017 წლის 10 მაისის №80 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და $75^6$ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 31 მაისის №-- დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორი გადაწყვეტილების კანონიერებას ხდის სადავოდ, იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს მოსამართლე -- -- მიერ 2017 წლის 19 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, -- --განიხილა -- -- სარჩელი მოპასუხე -- -- მიერ ქურდობის შედეგად მიყენებული 5800 ლარის ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და ექსპერტ-აუდიტორის არასერიოზული დასკვნის საფუძველზე, განაჩენით დადგენილი ზიანის 5800 ლარის ნაცვლად მოპასუხეს 2440 ლარი დააკისრა, რითაც მან შეცვალა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ შეგნებულად გააჭიანურა საქმის განხილვა, მოპასუხეს შესაგებლის წარსადგენად 7 დღის ნაცვლად განუსაზღვრა 10 დღე.

გამარტივებული წესით საქმის განხილვისათვის დადგენილი ერთი თვის ნაცვლად გამოიყენა 7 თვე.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- -- 2016 წლის 4 ოქტომბერს სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 31 ოქტომბერს -- რაიონულ სასამართლოში -- -- წარადგინა შესაგებელი.

2016 წლის 12 დეკემბრის განჩინებით -- -- სარჩელზე საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა ხუთ თვემდე.

2017 წლის 11 იანვრის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 25 იანვარს.

2017 წლის 25 იანვრის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს დაევალა -- -- უწყების ჩაბარება.

სასამართლო სხდომები გაიმართა 20.02.2017 წ; 27.03.2017 წ; 19.04.2017 წ. პერიოდებში.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხე -- -- მოსარჩელე -- -- სასარგებლოდ დაეკისრა 2440 ლარის გადახდა.

2017 წლის 29 მაისს სააპელაციო საჩივარი შეიტანა -- -- -- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებაზე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და დაინიშნა მთავარი სხდომა.

2017 წლის 10 აგვისტოს -- -- წარადგინა სააპელაციო შესაგებელი.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 12 სექტემბრის საოქმო განჩინებით -- სააპელაციო საჩივარი -- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

2017 წლის 3 ოქტომბერს კერძო საჩივარი წარადგინა -- -- წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 12 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

**3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{10}$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კანონის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ

უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ შეცვალა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და მოპასუხეს განაჩენით დადგენილი ზიანის 5800 ლარის ნაცვლად 2440 ლარი დააკისრა. სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ „განაჩენი არ შეიცავს ზიანის ოდენობის გაანგარიშებას, მასში მითითებული ნივთების ღირებულების შეფასებას კომპეტენტური პირის მიერ, რაც იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ნივთების ღირებულება მითითებულია მოსარჩელის მოსაზრებით. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სასამართლოში არც სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს და არც შემდგომში ამ ნივთების შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულება.“

ამდენად, მოსამართლე -- -- 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება მიიღო თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი

განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან,

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[16] მუხლის მიხედვით ამ თავით დადგენილი წესით შეიძლება განხილულ იქნეს სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[20] მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს სასამართლო განიხილავს წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი წარდგენილია დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინებით გააგრძელა საქმის განხილვის ვადა 5 თვემდე.

მოპასუხე -- -- შესაგებლის წარსადგენად გზავნილი გაეგზავნა 2016 წლის 7 ოქტომბერს. შესაბამისად, კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება კონკრეტული თარიღიდან. აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 6 თვე და 12 დღე. შესაბამისად, სახეზე გვაქვს საქმის განხილვის გაჭიანურება 1 თვით და 12 დღით.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- რაიონული სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2016 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 604 საქმე, საიდანაც დასრულდა 322 საქმე (53.3%); 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 1013 საქმე, საიდანაც დასრულდა - 714 საქმე (70.4%).

**4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{1}$ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №80/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**